



**პარტია „თავისუფალი საქართველო“  
პოლიტიკური პროგრამა**

**2016**

**I. საარჩევნო რეფორმა**

1. ახალი კონსტიტუცია, საარჩევნო კანონი და ორგანული კანონები მიიღება პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებით;
2. გაუქმდება მაჟორიტარების კორუმპირებული სისტემა.
3. აიკრძალება პარტიების და მედიის დაფინანსება ოლიგარქიული ჯგუფების მიერ, დადგინდება პარტიების მიერ შემოწირულობების მიღების ზედა ზღვარი.
4. საარჩევნო კამპანიის დროს უფრო მეტ პარტიას ექნება თანაბარი და უფასო რეკლამა, საარჩევნო კომისიები დაინიშნება საარჩევნო სუბიექტების პარიტეტის საფუძველზე;
5. გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის და სხვა დამოუკიდებელი ორგანოების წარდგენა მოხდება მხოლოდ ოპოზიციის მიერ;

**II. სამართლებრივი რეფორმა: მართლმსაჯულების  
სისტემის დეპოლიტიზება**

- *სტრუქტურული ცვლილებები* -

6. დაიშლება და ხელახლა ჩამოყალიბდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ძირეულად განახლდება მოსამართლეთა, პროკურორების და პოლიციის მაღალჩინოსნების კორპუსი.
7. შეიქმნება დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტი, რომელიც არ იქნება ანგარიშვალდებული ზემდგომ პროკურორთან;

- *სისხლის სამართლის პოლიტიკა* -

8. გამოძიებული იქნება პოლიტიკური მოტივით გაუხსნელი მძიმე საქმეები, მ.შ: ადამიანების ადგილზე ლიკვიდაციები და წამება (1992 - 2012), 7 ნოემბრის, 26 მაისის და სხვა მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევები, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბება, იარაღისა და ნარკოტიკების ჩადების მრავალრიცხოვანი შემთხვევები და ა.შ.

დანაშაულში მხილებულ პირებს აეკრძალებათ სახელმწიფო თანამდებობის დაკავება;

9. გამოძიებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ სააკაშვილის, არამედ ნებისმიერი მთავრობის პირობებში ჩადენილი დანაშაულები, მ.შ: 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება და თანმდევი რეპრესიები.

10. სახელმწიფო მოხელეებს დაეკისრებათ ქონებრივ დეკლარაციებში შეტანილი მონაცემების კანონიერების დასაბუთება.

11. ჩატარდება ნარკოტიკების ტრანზიტის და გასაღების საქმეების რეალური გამოძიება. განხორციელდება ნარკო-მოხმარების დეკრიმინალიზაცია.

- *ცვლილებები საპროცესო კანონში* -

12. ყოფილ პატიმრებს უნდა მიეცეთ სისხლის სამართლის საქმეების ხელახლა გადახედვის და რეაბილიტაციის შესაძლებლობა სასამართლო წესით;

13. ყოფილ მესაკუთრეებს უნდა მიეცეთ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საშუალება, თუ ისინი სასამართლოს დაუმტკიცებენ, რომ ქონება არანებაყოფლობით დაათმობინეს.

14. უნდა გაუქმდეს საპროცესო შეთანხმება სასჯელზე შეთანხმებით.

15. საპროცესო შეთანხმება ბრალზე შეთანხმებით დაიდება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ბრალდებულ (მსჯავრდებულ) პირებთან, მხოლოდ ჩვენების მიცემის და არა თანხის გადახდის საფუძველზე;

- პოლიციის რეფორმა -

16. უქმდება შსს-ს შემადგენლობაში მოქმედი სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო (სუს), ასევე ყველა ის სამსახური, რომელიც ახორციელებს პოლიტიკური ოპონენტების მეთვალყურეობას;

17. შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა შეეზღუდოს პირდაპირი წვდომა სატელეკომუნიკაციო კომპანიების არხებზე და აეკრძალოს კერძო საუბრების მიყურადება სასამართლოს ნებართვის გარეშე;

### III. ეკონომიკური პოლიტიკა: ეროვნული წარმოებისთვის განსაკუთრებული შეღავათები

- კერძო ინვესტიციების მოზიდვა -

18. გაუქმდება არაფორმალური შეზღუდვები ინვესტორებისთვის, მ.შ: წარმოშობის ქვეყნის მიუხედავად. სახელმწიფო სხვებთან ერთად მოიწვევს საქართველოში ქართულ დიასპორას, რუს, ირანელ, ჩინელ და სხვა ინვესტორებს;

19. განსაკუთრებული ძიება ჩატარდება ყოფილი და მოქმედი ჩინოვნიკების (საკაშვილი, კუზერაშვილი, მესხელი, ივანიშვილი, მამაცაშვილი, ლარიბაშვილი, ჯანყარაშვილი და სხვ.) ოფშორული ანგარიშების და აქციების გამოსავლენად და სახელმწიფოსთვის დასაბრუნებლად;

20. შემცირდება საგადასახადო ტვირთი, ამნისტირებული იქნება დაგროვილი საგადასახადო დავალიანებები;

21. გაუქმდება საგადასახადო ადმინისტრირების რეპრესიული ინსტრუმენტები;

22. ინვესტორებისთვის, რომლებიც ქმნიან ახალ საწარმოებს დაწესდება საგადასახადო შეღავათები;

23. განსაკუთრებული შეღავათები და ფიქსირებული გადასახადები დაწესდება მცირე მეწარმეებისთვის.

- სახელმწიფო ინვესტიციები -

24. საპარტნიორო ფონდი დააფინანსებს ახალ ტექნოლოგიებს იმ სფეროებში სადაც შიდა ბაზარი დაკავებულია იმპორტიორების მიერ (მაგ: ფორთოხლის წვენის წარმოება, ქართული ჩაი და სხვ.);

25. სახელმწიფომ (საადგილმამულო ბანკმა) უნდა დააფინანსოს გლეხური მეურნეობები და მოამარაგოს გლეხი სასოფლო-სამეურნეო საშუალებებით ფიქსირებულ ფასებში.

სახელმწიფო უზრუნველყოფს აგრეთვე მოსავლის ჩაბარებას და გასაღებას - ასევე ფიქსირებულ ფასებში.

*საგარეო ვაჭრობა:*

26. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები დაიდება მხოლოდ საქართველოსთვის მომგებიან შემთხვევებში, მ.შ: დსთ ქვეყნებთან;

27. სახელმწიფო საბაჟო, ანტიდემპინგური და სხვა კანონიერი ზომებით შეზღუდავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და იმპორტს;

28. სახელმწიფო შესყიდვებში უპირატესობა მიენიჭება ეროვნულ წარმოებას.

29. სასოფლო მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, სამოვრების და ტყეებისა - თვითმმართველობა.

**IV. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა**

30. უნდა შეიქმნას ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც შეამოწმებს და გამოიძიებს კარტელურ გარიგებებს საწვავის, მედიკამენტების და სხვ. მონოპოლისტ კომპანიებს შორის;

31. მონოპოლიური კომპანიები (AVERSI, PSP, SOCAR, Wisoil, Gulf და სხვ.) გამოტანილი იქნება გასაყიდად აუქციონზე;

32. გადაიხდება ბუნებრივი მონოპოლიების (ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი) ტარიფები;

33. უნდა აიკრძალოს კომერციული ბანკების მიერ საცხოვრებელი სახლების იპოთეკით დატვირთვა და ვალაუვალი მოქალაქეების გამოსახლება;

34. დადგინდება საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვარი და დაყადაღებული ქონების გასაყიდი ფასის ქვედა ზღვარი;

V. **სოციალური პოლიტიკა: მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის შემცირება**

- სახელმწიფო ბიუჯეტი -

35. მკვეთრად უნდა შემცირდეს სამთავრობო ხარჯები: საჯარო მოსამსახურეთა სამივილინებო, ავტომანქანების შესყიდვის და მომსახურების თანხები;

მთლიანად უნდა გაუქმდეს პრემიები და დანამატები საჯარო სექტორში.

36. უმაღლესი და საშუალო ჩინოვნიკების ხელფასები უნდა მიეზღოს მინიმალურ ხელფასს და პენსიას. მაგ: მინისტრის ხელფასი იქნება პენსიის 10-მაგი ოდენობა - 1 800 ლარი, თუ მოიმატებს პენსია და მინიმალური ხელფასი ავტომატურად მოიმატებს მინისტრების და სხვა ჩინოვნიკების შრომის ანაზღაურებაც.

საპენსიო ასაკი იქნება მამაკაცებისთვის - 60 წელი, ქალბატონებისთვის - 55.

37. გაიზრდება უმაღლესი განათლების დაფინანსება ბიუჯეტიდან: სახელმწიფო გაზრდის 100%-იანი სტუდენტური გრანტების რაოდენობას, რათა ნიჭიერმა სრულდებმა შეძლონ განათლების მიღება

მშობლების მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად.

- დემოგრაფიული პროგრამა -

38. სახელმწიფომ სამ- და მეტშვილიან ოჯახებს უნდა აუნაზღაუროს კომუნალური მომსახურების, მუნიციპალური ტრანსპორტის, ბავშვების ჯანმრთელობასთან და განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

39. იმავდროულად სახელმწიფომ უნდა შექმნას ცალკე საბინაო ფონდი ქალაქებში და საკარმიდამო მეურნეობები რეგიონებში - მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და ეკოლოგიური მიგრანტებისთვის - უსასყიდლოდ სარგებლობისთვის.

40. უნდა შეიზღუდოს შრომითი იმიგრაცია და მოქალაქეობის გამარტივებული გაცემა უცხოელ მოქალაქეებზე (ისე რომ არ შეიზღუდოს ტურისტების და ინვესტორების პრივილეგიები).

41. უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ნებადართული უნდა იქნეს ორმაგი მოქალაქეობა.

## VI. გარემოს დაცვა

42. თბილისში გამოცხადდება მორატორიუმი ახალი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობაზე;
- თბილისში და სხვა ქალაქებში პრიორიტეტი მიენიჭება მწვანე ზონის, კომუნიკაციების და ავტოსადგომების ქსელის გაფართოებას;
43. სამთავრობო დაწესებულებების ნაწილი თბილისიდან გადატანილი იქნება რეგიონებში;
44. სახელმწიფო მკაცრ კონტროლს დააწესებს სურსათის ეკოლოგიურ სტანდარტებთან შესაბამისობაზე;

## VII. საგარეო პოლიტიკა

45. საქართველომ მთავრობამ უნდა დაიწყოს პოლიტიკური (და არა მხოლოდ სავაჭრო) დიალოგი რუსეთთან ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. განხილვის თემა გახდება საქართველო - ნატოს სამხედრო თანამშრომლობის საკითხიც.
46. კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებამდე საქართველოს მთავრობამ რუსეთის შუამავლობით

უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები სოხუმის და ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობებთან.

პირველ ეტაპზე განიხილება: თავისუფალი გადაადგილება ადმინისტრაციულ საზღვარზე, სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა, ტვირთების თავისუფალი გადაადგილება და დევნილების დაბრუნება.

47. იმავდროულად საქართველო გაატარებს ევროპასთან ჰარმონიზაციის (ევროპეიზაციის) პოლიტიკას - უმოკლეს ვადაში შესრულდება 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი და საარჩევნო სისტემის რეფორმა და სხვ.);
48. საქართველო არ აიღებს ვალდებულებებს, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ტრადიციულ ფასეულობებს.